პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 ნოემბერი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 214 (10 183) ● ფასი 3 კაპ.

გაშოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

7 ნოემბერი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 72 წლისთავი

თვის მონაგარი

ერთი დღით ადრე მოხნული...

მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ ჩვენს „თვის მონაგარს“ წლეულს, განსაკუთრებით უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში, სულ სხვაგვარი ელფერი დაედო. იგი, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარად პოლიტიკურიც გახდა. ეს ბუნებრივიცაა — საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ ეროვნული სულის გამოღვიძებამ, სპორტულ მოძრაობასაც თავისი კვალი დაატყო, რაც, რაღა თქმა უნდა, ბუნებრივი მოვლენაა. ახლა სპორტში მიღწეულ მოვლენებს სწორედ ეროვნულ პრიზმაში განვიხილავთ. აქამდე თუ „თვის მონაგარში“ უშუალოდ სპორტულ სარბიელზე მოპოვებულ წარმატებებს ვიხსენებდით, ახლა ამ რუბრიკით საერთოდ საქართველოს სრული სუვერენიტეტისაკენ მიმავალ გზაზე სპორტულ სფეროში წინგადადგმულ ნაბიჯებსაც თვის ადგილს ვუჩენთ.

ამ მხრივ ოქტომბერი განსაკუთრებით გამორჩეული, უფრო მეტიც, ისტორიული აღმოჩნდა.

აი, ეს ისტორიული მოვლენაც: 6 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენციამ აირჩია სეოკ-ის შემადგენლობა და რეზოლუციაც მიიღო. თუ არ ჩავთვლით ბალტიისპირელებს (მათ ახეთი კომიტეტი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლამდე ჰქონდათ), საქართველო სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან პირველია, რომელმაც ასეთი ნაბიჯი გადადგა.

ახლა დიდი ბრძოლაა საჭირო, რომ სეოკ-ი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიაროს.

ნათქვამია, ერთი დღით ადრე მოხნული ერთი დღით ადრე მოიმკებაო. ეს თუ ასეა, მაშინ ადრე თუ გვიან, იმ მოსამკელსაც ხვნებზე უნინ მოვიმკით.

მაინც, სეოკ-ის აღიარების შემთხვევაში როგორი შანსები ექნებათ ჩვენს სპორტსმენებს? უნდა ითქვას, რომ სპორტის რამდენიმე სახეობაში არა იუ პირად, გუნდურ ჩათვლაშიც კი ბრწყინვალე პერსპექტივები გვაქვს. ერთ-ერთი ასეთი სახეობა ძიუდო გახლავთ. საქართველოს სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებმა თავიანთი სიძლიერე ოქტომბერშიც დაამტკიცეს, თანაც ორ უდიდეს შეჯიბრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბელგრადში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი. აქ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოდან ოთხი ძიუდოისტი გამოდიოდა, რაც ჩვენთვის რეკორდული და გუნდის ნახევარი აღმოჩნდა. ბელგრადიდან ოთხივე მედლებით დაბრუნდა. ჩემპიონები გახდნენ ვორელი კობა კურტანიძე და მარტყოფელი ამირან ტოტიკაშვილი; ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ, ხოლო გორელი გიორგი თენაძე ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა. ქართველი ძიუდოისტების წყალობით სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდურ პირველობაში, ისტორიაში პირველად, გამარჯვება მოიპოვა.

ჩვენი სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, ბელგრადში საქართველოს ძიუდოისტები ცალკე გუნდად რომ გამოსულიყვნენ, გუნდურ პირველობაში მეორე ადგილზე გახსულ იაპონელებს 4-ჯ ქულით აჯობებდნენ.

ქართველმა ძიუდოისტებმა დიდად გამოიჩინეს თავი ავსტრიაში გამართულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატშიც. აქ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში სიხარულიძე ვლადიმერ დგებუაძე და ქუთაისელი დავით ბაბალეიშვილი გამოვიდნენ. გუნდი ჩემპიონი გახდა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს ფალავნებს, რომლებმაც თავიანთ წონებში ყველაზე აჯობეს და შინ ორ-ორი ოქროს მედლით დაბრუნდნენ.

მონღოლეთის დედაქალაქ ულანბატორში გამართულ ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაზე გორელმა გიორგი ხინჩიკაშვილმა უძლიერესის სახელი მოიპოვა.

ოქტომბერში საქართველოს მოჭიდავეებიდან თავი გამოიჩინა თბილისელმა მერაბ ვალიევმაც, მან ბაქოში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკავშირო თასის გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა.

თბილისელ ნინო სალუქვაძეს ლაპის უოველ „თვის მონაგარში“ მოვიხსენიებთ და „იძულებულნი“ ვართ მის სახელს გვერდი ვერც ახლა ავუაროთ. ახეთი „იძულება“ მეტად სასიამოვნოა, მით უმეტეს, რომ ნინომ მიუნხენში გამართულ ტუნიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშებაში, ტრადიციისამებრ, კვლავ პირველი ადგილი არ აიმაღლა. იგი უძლიერესი იყო როგორც ტუნიის სროლაში (33-5), ისე პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობაში (33-2).

გამარჯვებები ტრადიციად აქციეს ქუთაისელმა რაგბისტებმაც. მათმა გუნდმა „აიამ“ საკავშირო ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა. ქუთაისელებმა ქუთაისშივე, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს ოქროს მედლები.

თბილისელ წყალბურთელ ქალთა გუნდმა „ივერიამ“ ბოლო წლებში დიდი აღმავლობა განიცადა — მრავალ საკავშირო შეჯიბრებაში სხვადასხვა საპრიზო ადგილები მოიპოვა. ამიტომ ისინი პირველი საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტებად ითვლებოდნენ. მათაც არ გაგვაწბილეს და ზაპოროჟიედან ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ.

ბოლო წლებში აღმავლობის გზაზე არიან საქართველოს სპორტის ტექნიკური სახეობის — მოტომრავალჭიდის წარმომადგენლებიც. ისინი ოქტომბერში ბრიანსკში გამართულ პირველ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. ჩვენი გუნდი გამარჯვებულ ლიტვის გუნდს

იხ. მე-4 გვ.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ● I ლიგა

მაგალითს იძლევა კაპიტანი

პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების წლევანდელ საკავშირო პირველობაში წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები, რომლებიც ლიდერთა შორის იმყოფებიან. გასულ შაბათ-კვირას მათ პენზის „სპარტაკს“ უმასპინძლეს. პირველი მატჩი ჩვენმა გოგონებმა აქტიურად დაიწყეს. მე-15 წუთისთვის მათ ანგარიშში საგრძნობ სხვაობას მიაღწიეს — 39:26.

მეორე ნახევარში სტუმრებმა პრესინგს მიმართეს და ხუთოოდ წუთში ანგარიში გაათანაბრეს — 51:51. მაგრამ ეტყობა, სპარტაკელები ძალიან გაერთნენ შეტევით, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. ჩვენმა კალათბურთელებმა ზუსტად ერთ წუთში ზედიზედ 8 უპასუხო ქულა აიღეს. მართალია, სტუმრებს პრესინგი შემდეგაც არ შეუწყვეტიათ, მაგრამ თბილისელებს არ გაჭირვებიათ მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა — 85:77. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს მ. მხეიძემ — 22 ქულა, ვ. კოტლოვამ — 15, ნ. ლორიამ — 17, ალლა სტუდენტინა — [illegible] ნ. პავლოვამ — 18 ქულა.

მეტოქეთა [illegible] მეორე დრის დასაწყისში დაწინაურდნენ სპარტაკელები, მერე წუთისთვის ისინი მატჩს იგებდნენ ანგარიშით 21:8. ჩვენს გოგონებს ზუსტად ამდენივე დრო დასჭირდათ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მე-16 წუთზე თბილისელები ქულით გავიდნენ წინ. შემდეგ მასპინძლები მტკიცედ ფლობდნენ უპირატესობას, განსაკუთრებით გვიდა გამოვყოთ გუნდის კაპიტანი ნატო ლორია, პენზელებმა მის ინდივიდუალურ სწრაფ გარღვევებს ვერაფერი დაუპირისპირეს. ამ დღეს მან 30 წუთი დაჰყო მოედანზე და 32 ქულა შესძინა კოლექტივს. ჩვენმა გოგონებმა საბოლოოდ იმარჯვეს ანგარიშით 89:67 და გათამაშების ცხრილში მე-7 გამარჯვება ჩაიწერეს. ახლა ისინი 8 და 9 ნოემბერს გორკის „შრომით რეზერვებს“ უმასპინძლებენ.

ვაჟა დანელია.

ქეთევან ლოსაბერიძე: „მჯერა ამ გოგოების...“

ბოლო ხანს სამი ნიჭიერი ქართველი მოსახარი გოგონას წარმატებებმა იმედით გაგვახსენა ქეთევან ლოსაბერიძის დიდი გამარჯვებები. იქნებ ბევრისთვის საინტერესო გამოდგეს ჩვენი სახელოვანი მშვილდოსნის აზრი თავის უმცროს კოლეგებზე, რომელსაც ამ წერილში გთავაზობთ.

ქეთევანი კარგა ხანია აღარ გამოდის სარბიელზე. მისი წასვლის შემდეგ მშვილდოსნობის მოყვარულებსაც „დიდი შესვენება“ ჰქონდათ, რადგანაც სახელოვანი ჩემპიონის შემცვლელი არა და არ მოინახა. ბოლო დროს კი ისევ გამოკრთა იმედის სხივი, სარბიელზე

(იხ. მე-4 გვ).

რეკლიკა

მეექვსე მოთამაშე

„გურიის“ ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერა და გულშემატკივრობა გუნდის მეთორმეტე მოთამაშის ტოლფასია, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ლანჩხუთელთა მთავარმა მწვრთნელმა მიხეილ ფომენკომ. ან კიდევ:

— 1981 წლის 18 მაისს ჭარბთული დოლის ხმა რომ მომწვდა დიუსელდორფის სტადიონის ტრიბუნებიდან, გაათკეცებული ძალით ვეკვეთე „კარლ ცეისის“ კარს და გოლიც გავიტანე, — იგონებს ხშირად ვ. გუცაევი.

დიახ, თანამედროვე სპორტში, როცა უოველი შეხვედრა უაღრესად ექსტრემალური ხასიათისაა, ნებისმიერ წვრილმანს გუნდისთვის ფასდაუდებელი ხამსახურის გაწევა შეუძლია, რასაც თამაშის ბედის შემოტრიალებაც ძალუძს. აღარას ვამბობთ „საკუთარი ხარბიელის“ უპირატესობაზე. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ შინ, თითქოს, კედლების მხარდაჭერასაც ვგრძნობთ. აი, კალათბურთელ ქალთა I ლიგის საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში, რომელიც გასულ კვირას თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გაიმართა, მახპინძელთათვის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდისთვის საკუთარი კედლების უპირატესობა მთლიანად გაჭრა და აქ უფრო გალაღებულნი პენზის „სპარტაკის“ მოთამაშეები იყვნენ, რადგანაც მთელი თამაშის განმავლობაში დარბაზში იფრქვეოდა რუსული „ჩასტუშკების“ ბანგში ოლგა ვორონეცისა და სხვათა შესრულებით, რომელსაც „მაიაკი“ გადმოსცემდა. ეს ის მუსიკალური პაუზა როდია პროფესიონალ მოკეიტთა მატჩების დროს რომ გაისმის. არა. „ჩასტუშკები“ გაისმოდა მთელი თამაშის მსვლელობისას, ყურთასმენა მიჰქონდა და ხელს უშლიდა თამაშის ნორმალურ მსვლელობას.

და რაც მთავარია, ვერავინ დააღგინა, ვისი თამაზობა იყო კალათბურთის ასეთი მუსიკალური „გაფოფორმება“, რომელიც მეექვსე მოთამაშედ მოევლინა პენზელებს.

ბ. უნგრიაძე.

მონდომებამ რა ჰქნა



რედაქციაში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოში ძიუდოს გავრცელების ერთ-ერთი პიონერი ბიძინა მაზიაშვილი გვესტუმრა და სხვათა შორის თავისი განზრახვა გაგვიზიარა: — ვანში მივდივარ, ძიუდოში ხემინარები უნდა ჩავატარო, ადრე ვიუავი იქ და აღფრთოვანებული დავრჩი, ამ პატარა და პატარშალივით ლამაზ ქალაქში რამდენი სპორტული ბაზა ჰქონიათო; რაიონის ხელმძღვანელობა და პირადად მიხი თავკაცი ნოდარ ანდრიაძე გადაგებულნი არიან ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. ამიტომ ურიგო არ იქნება თუ თქვენი გაზეთის ხაშუალებით მათს მაგალითს მისაბაძს გავხდითო.

ბატონი ბიძინას შემოთავაზებული მანქანით ვიხარგებლეთ და ვანი ვესტუმრეთ.

რა იყო

ათიოდე წლის წინ ვანის რაიონში სპორტის ორად-ორი სახეობა იყო დანერგილი — ფეხბურთი და თავისუფალი ჭიდაობა. ამ ორ სახეობას ემსახურებოდა ქალაქის კეთილმოუწყობელი ცენტრალური სტადიონი, ორი სასკოლო სპორტული დარბაზი და ერთიც კრივის დარბაზი — თუმცა, ეს უკანასკნელი აღარც მოქმედებდა.

ფეხბურთი კი ვახსენეთ, მაგრამ ამ მხრივ ვანელები ბევრით ვერაფრით იწონებდნენ თავს. ერთ დროს სანაქებო „სულორი“, რომელიც სა-

იხ. მე-3 გვ.



მონდომებამ რა ჰქნა



(დასასრული)

კავშირო გათამაშებაში მონაწილეობდა, 1978 წლისთვის საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში გამოდიოდა. მოკეთეებს გულს ვერც თავისუფალი სტილით, მოჭიდავეები უხარებდნენ. აი, ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა დახვდა ვანის რაიკომის ახალ მდივანს ნოდარ ანდრიაძეს თავისი მოღვაწეობის დაწყების პირველ წელს.

ნოდარ ანდრიაძე: — ფეხბურთი ჩემთვის სისხლხორცეული საქმე იყო, ლატვიის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში რომ ვსწავლობდი, სპორტის ამ სახეობაში სასწავლებლის ღირსებას ვიცავდი. ფეხბურთმა დიდი როლი შეასრულა ჩემი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. რაიონის ხელმძღვანელად დანიშვნისთანავე მიზნად დავისახე ყოველმხრივ შემეწყო ხელი, რომ

„სულორს“ ძველი რეპუტაცია დაებრუნებინა. ფეხბურთი ხალხის ყველაზე საყვარელი თამაშია. მოგეხსენებათ, გულშემატკივრები არაფერს განიცდიან ისე მტკივნეულად, როგორც თავიანთი გუნდის დამარცხებას. შემდეგ წელიწადს ჩვენმა გუნდმა მეორე ჯგუფიდან პირველში გადაინაცვლა. ათი წლის განმავლობაში „სულორმა“ ორჯერ მოიპოვა საქართველოს თასი, ექვსჯერ პრიზიორთა შორის იყო... მაგრამ, საბედნიეროდ, მივხვდი, რომ მარტო ფეხბურთზე გადაგება არ შეიძლებოდა.

რა გაკეთდა

მალე ვანის რაიონში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართულმა ჭიდაობამ და სამბომ, მაგრამ, ცხადია, არც ეს იყო საკმარისი. ყველა მოზარდს თავისი სურვილისა და მიდრეკილების შესაფერისად უნდა ევარჯიშა. ამისთვის სპორტული ბაზები იყო საჭირო, მათს ასაშენებლად კი მარტო სურვილი არ კმარა, რაღაც თანხაც უნდა გქონდეს... რაიონს არ ჰქონდა ამის საშუალება. მაგრამ, თურმე შეუძლებელი არაფერია, როდესაც დიდ მონდომებას შესაფერისი ნებისყოფა და მიზანდასახულობაც ახლავს...

ამჟამად რაიონში არის ცენტრალური სტადიონი, 18 ფეხბურთის, 23 კალათბურთის, 57 ფრენბურთის, 13 ხელბურთის მოედანი. ამას გარდა მოქმედებს 13 სპორტული დარბაზი, საჭადრაკო კლუბი „ბრაგო“, კრივის დარბაზი, დახურული სტანდარტული ტიპის ტირი და ცენტრალური სარაიონო სპორტული დარბაზი. ამას უნდა დავუმატოთ ათი რვაწლიანი და საშუალო სკოლა, რომელთაც საკმაოდ დიდი, არასტანდარტული დარბაზები აქვთ. ჩამოთვლილი სპორტული ბაზების 80 პროცენტზე მეტი ბოლო ათი წლის მანძილზე აიგო.

სპორტული სექციები

გარდაქმნის ხელი სპორტულ სექციებსაც შეეხო. ამჟამად ვანის რაიონში ფეხბურთსა და თავისუფალ ჭიდაობას დაემატა ჭიდაობის ყველა სხვა სახეობაც, ბალახის ჰოკეი, აკრობატიკა, ძალოსნობა, მძლეოსნობა, კრივი, ბადმინტონი, ტყვიის სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, ველოსპორტი, ლელობურთი, ჭადრაკი.

ნოდარ ანდრიაძე: — ჩვენი მიზანი იყო, რაიონის ახალგაზრდობის თავისუფალი დროის პრობლემა გადაგვეჭრა. მოგეხსენებათ, ზოგჯერ ახალგაზრდა მრუდე გზას ადგება. ვფიქრობთ, ამ პრობლემას მოვერიეთ. დღეისათვის რაიონის 36 ათასი მცხოვრებიდან სპორტულ სექციებში ჩაბმულია 90 პროცენტზე მეტი. აღარ გვყავს არც ერთი ძნელად აღსაზრდელი. ყველაზე არსებითი საკითხი ის იყო, რომ ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა თავკომბალას არ დამსგავსებოდა, ანუ ყველა სპორტულ ბაზას ვანში არ მოეყარა თავი: ამიტომ აკრობატიკის სექციაგავხსენით შუაგორში და ზეინდარში, ბადმინტონისა — ამაღლებაში, ბალახის ჰოკეისა — შუამთაში, ძალოსნობისა — ყუმურში, ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლა ამოქმედდა ციხე სულორში, ხოლო ჭადრაკის სექციები ვანის გარდა 11 სოფელში მუშაობს. პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით ყველა სახეობას მივამაგრეთ შეფები, სპორტულ ფედერაციებს კი სათავეში უდგანან რაიკომის ბიუროს წევრები. ჯერჯერობით ეს. მეთოდი ამართლებს, თუმცა ვთვლი, რომ იგი სრულყოფილი არ არის. სამწუხაროდ, შეფებზე თუ სპონსორებზე ჯოხის გადატეხა ან სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა ჩიხიდან ვერ გამოგვიყვანს. ამ ეროვნულ საქმეს სახელმწიფომ უნდა მიხედოს. ამისთვის უნდა გამოინახოს სახსრები. ბევრი რამ შეიძლება მოვიკლოთ კიდეც, რადგან ერის გაჯანსაღება ერთ-ერთი უპირველესი საქმეა. ეს მით უფრო აუცილებელი და გადაუდებელია, რომ საქართველოში ახლახან შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი...



სპორტულ შედეგებზე ფიქრი ჩვენთვის თვითმიზანი არ ყოფილა. მაგრამ, ცხადია, სპორტული სექციებისთვის აუცილებლად კვალიფიციური სპეციალისტები გვჭირდებოდა. ამ მხრივ კი რაიონს გვარიანად უჭირდა და საჭირო ხალხი მის გარეთ უნდა გვეძებნა. ქუთაისიდან ჩამოვიყვანეთ ძიუდოისტთა და ველოსიპედისტთა მწვრთნელები; სპორტის ოსტატები ნოდარ მანგაძე და სულხან ყიფიანი. ასევე ქუთაისში მუშაობდა ვანელ მოკრივეთა მწვრთნელი ანზორ თათიშვილიც, რომელიც დაგვთანხმდა, რომ კვლავ მშობლიურ რაიონში დაპრუნებულიყო. მაგრამ თბილისელი კაცი რომ რაიონში სამუშაოდ ჩამოვა, ასეთ რამეს ალბათ ხშირად ვერ შეხვდებით — თბილისელმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა, გურამ მაჭავარიანმა პრაქტიკულად შეასხა ხორცი ზოგიერთის მოწოდებას, რაიონში გადასვლას სხვებს რომ უკიჟინებენ და თვითონ დედაქალაქში მოკალათებულან. იგი საჭადრაკო კლუბ „არგოს“ დირექტორია. ამავე დროს დასავლეთ საქართველოს საჭადრაკო კონსულტანტიც არის.

აქ შენდება

აქ ნანახმა მართლაც გაგვაოცა, რადგან ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში, რაიონებს კი არა, დიდ ქალაქებსაც უჭირთ ბაზების მოწყობა, აქ კი დროის არცთუ დიდ მონაკვეთში საკმაო საქმეა გაკეთებული. ბევრი რამ ახლა შენდება.

ნოდარ ანდრიაძე: — ამჟამად ვანის ელექტრომექანიკურ ქარხანაში შენდებ სპორტულ-საკონცერტო დარბაზი 1200 მაყურებლისთვის, რომლის ფართობი 1800 კვადრატული მეტრი იქნება. კომპლექსს ექნება სარეაბილიტაციო ცენტრი, საუნა, ბუფეტი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც თანამედროვე ბაზას უნდა ჰქონდეს. საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე უფრო მცირე ზომის (900 კვ. მეტრი) დარბაზი შენდება და მომავალი წლის პირველ კვარტალში დამთავრდება. სულ მალე ექსპლუატაციაში შევა ორი 25-მეტრიანი ასაწყობი აუზი — 68-ე პროფტექნიკურ სასწავლებელსა და ტურბაზაში. ვანის საქსოვ ფაბრიკაში დაწყებულია ფინური სპორტული მოდულის აწყობა. აქ ძიუდოს სპეციალიზებული დარბაზი იქნება, წინ კი ბატუტისტთა სარბიელი აუშენდება. სოფელ ფერეთაში საშუალო სკოლასთან შენდება



ახლა კი ცალკე გვინდა გამოვყოთ ჭადრაკის კლუბი „არგო“ და ძიუდო.

ჩემპიონთა დედების სამშობლო

დიდ კომბინატორ ოსტაპ ბენდერს ვასიუკელებთან ხელმოცარვასთან შედარებით საქმე გაუადვილდებოდა, ვანელები საალანეტათშორისო ჭადრაკის მატჩის მოწყობის რეალურობაში რომ დაერწმუნებინა. საამისოდ მას უტყუარი არგუმენტები ექნებოდა, უპირველ ნებებს“ ყოველთვის რეალური საქმე ასაზრდოებს.

ნოდარ ანდრიაძე: — ამჟამად ჩვენი ოცნებაა რაიონს დახურული კაპიტალური საცურაო აუზი ჰქონდეს. ამ დიდი საქმის ხორცშესხმა ელექტრომექანიკურმა ქარხანამ იკისრა. პროექტი მზადაა, სახსრები — გამოყოფილი, თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა, ორ წელიწადში აუზი აშენდება. გვინდა სტადიონის სარბენ ბილიკზე ტარტანის საფარი დავაგოთ.











ბენეფისი ოსტაპ ბენდერს

ბენ ვასიუკელებთან ხელმოცარვასთან შედარებით საქმე გაუადვილდებოდა, ვანელები საალანეტათშორისო ჭადრაკის მატჩის მოწყობის რეალურობაში რომ დაერწმუნებინა. საამისოდ მას უტყუარი არგუმენტები ექნებოდა, უპირველ

ოლიმპიონთა დედების სამშობლო

დიდ კომბინატორ ოსტაპ ბენდერს ვასიუკელებთან ხელმოცარვასთან შედარებით საქმე გაუადვილდებოდა, ვანელები საალანეტათშორისო ჭადრაკის მატჩის მოწყობის რეალურობაში რომ დაერწმუნებინა. საამისოდ მას უტყუარი არგუმენტები ექნებოდა, უპირველ

ბენეფისი ოსტაპ ბენდერს

ბენ ვასიუკელებთან ხელმოცარვასთან შედარებით საქმე გაუადვილდებოდა, ვანელები საალანეტათშორისო ჭადრაკის მატჩის მოწყობის რეალურობაში რომ დაერწმუნებინა. საამისოდ მას უტყუარი

ოლიმპიონთა

ბენ ვასიუკელებთან ხელმოცარვასთან შედარებით საქმე გაუადვილდებოდა, ვანელები საალანეტათშორისო ჭადრაკის

ბენ

ბენ ვასიუკ

ბ

ბ

...

...

...

...

...

**...

„ვემსახურებით ქართული ფეხბურთის მომავალს!“

ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ცნობილია, რომ თბილისის „დინამოს“ ყოფილი წევრები თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია მივლინებულნი იყვნენ შვეიცარიაში, ამ ქვეყნის I ლიგის გუნდ „ჰოლსმუნდში“ მოთამაშე-კოსულტანტებად. ისინი ამ დღეებში დაბრუნდნენ სამშობლოში და ჩვენც რამდენიმე კითხვით მივმართეთ მათ.

● როგორ გრძნობდით თავს სამშობლოდან მოშორებულები?

რ. შენგელია: — სამშობლოს ნოსტალგია მართლაც ძალიან ძნელი ყოფილა. თავდაპირველად იმედიანად ვიყავით, მეუღლეებს და შვილებს ველოდებოდით, „დინამოც“ უნდა ჩამოსულიყო. მერე ისევ მარტოები რომ დავრჩით, ერთმანეთს შევყურებდით. მოკლედ, ახლა აღარ გვინდა ერთმანეთის დანახვა (იცინის). აეროპორტშივე ბავშვებივით აგვიტაცა სიხარულის გრძნობამ. ღმერთმა ნუღარ მაცხოვროს სამშობლოდან შორს. ისე კი, კაცმა, ალბათ ყველაფერი უნდა გამოსცადოს.

თ. სულაქველიძე: ჩვენი გაგებით, რაღაცნაირად ცივი ხალხი ცხოვრობს იქ, თითქოს უინტერესოები არიან.

● როგორ, ცუდად შეგხვდნენ?

— **თ. სულაქველიძე:** არა, პირიქით, ყველა პირობა შეგვიქმნეს, შესანშნავი რეკლამა გაგვიწიეს, მეორე-მესამე დღეს ხალხი უკვე ქუჩაში გვცნობდა. მაშინვე პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ვაუწყეთ, რომ უკვე ფეხბურთის ვეტერანები ვიყავით, რომ ერთი წელია არ გვივარჯიშია, მაგრამ ძალონეს არ დავიშურებდით, ოღონდ თანაკლებელების მზარდაჭერა გვქონდა. „ჰოლსმუნდის“ საშუალო ასაკი 23 წელი იყო და ჩვენ მათ შორის მართლაც „ბაბუებად“ გამოვიყურებოდით.

რ. შენგელია: თენგიზი სხვა რამეზეა გულნაწყენი. გულით და სულით გვინდოდა ჩვენი სამშობლოს შესახებ გვესაუბრა მათთან, მოგვეთხრო ცხრა აპრილზე ან საერთოდ, ჩვენს ეროვნულ მოძრაობაზე. მაგრამ ყური არ გვათხოვეს. და ცივ ხალხად ამიტომ მოვნათლეთ. შვეიცარია საოცარი ეკონომიკური პოლიტიკაა. იქ ყველა კარგად ცხოვრობს.

● მაინც ყველაზე მეტად რა შეიძლება გადავიღოთ მათგან?

— **თ. სულაქველიძე:** დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ. „ჰოლსმუნდში“ ჩვენს ჩასვლამდე მძიმე ფინანსური მდგომარეობა იყო და ბიჭები რამდენიმე თვის განმავლობაში ხელფასს ვერ ღებულობდნენ, მაგრამ მაინც თამაშობდნენ. ამას თავის მოვალეობად თვლიდნენ.

არ მინდა ყველა ახალგაზრდამ თავის თავზე მიიღოს, მაგრამ ჩვენთან ბევრი, სკოლის დამთავრების შემდეგაც, მშობლებს შეჰყურებს ხელებში. იქ კი 14 წლის ასაკიდან ბავშვები მეეზოვეებადაც კი მუშაობენ. ასე ეჩვევიან შრომას. აი, ეს შრომის სიყვარულიც გვაკლია.

● ჩვენს პრესაში, კერძოდ „სოვეტსკი სპორტში“ გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, თითქოს თბილისის „დინამოს“ სხვა ფეხბურთელებიც „გაიყიდნენ“ შვეიცარიაში და ისინი უველაზე იაფი რუსი (!?) ფეხბურთელები არიანო, რას იტყვით ამის შესახებ?

რ. შენგელია: შვეიცარიაში მივლინებულნი ვიყავით და არა გაყიდული ან ნაყიდი — „ჰოლსმუნდს“ ჩვენი წამოსვლის შემდეგ უნდა ჩაეტარებინა ერთი თამაში. თუ მოიგო და პირველ ლიგაში დარჩა, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი რომელიმე ვალმოხდილი დინამოელის შვეიცარიი გამგზავრება. ყველაზე „იაფ რუს ფეხბურთელებზე“ კი მოგახსენებთ, ჩვენ თვეში 1000 დოლარს ვიღებდით. გამოგვიყვეს მანქანა „ფოლკსვაგენი“, დაგვხვდა კარგი ბინა, დღეში სამჯერ სამ რესტორანში შეგვეძლო გვესადილა. შვეიცარიაში კი მართლაც თამაშობენ რუსი ფეხბურთელები, რომლებიც მხოლოდ 500 დოლარს იღებენ, აქვთ ერთჯერადი უფასო კვება და არ აქვთ მანქანა. ესენი არიან: მოსკოვის სპარტაკელი რუსლან ხასანოვი, როსტოველი სერგეი ანდრეევი, მოსკოვის ტორპედოელი ვლადიმერ გალაიბა, „გურიის“ ყოფილი მოთამაშე ვიქტორ ხლუსი, მოსკოვის ტორპედოელი სერგეი პრიგოდა, ვადიმ ევტუშენკო, იგორ პონომარიოვი. ამიტომ, სჯობია, რომ „სოვეტსკი სპორტმა“ „თავის რუსებზე“ წეროს.

● გატყობთ გაგანერვიულეთ, იქნებ რაიმე სასიამოვნო მოიგონოთ უცხოეთში ცხოვრების შესახებ.

თ. სულაქველიძე: (იცინის): ერთი გულშემატკივარი ქალი გვყავდა, ასაკოვანი. ყოველ თამაშზე დაგვყვებოდა სტოკპოლმში. ბილეთი ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ მაინც დადიოდა. ჩვენც მზია შევავარქვით, მზია მეგაღიშვილის პატივსაცემად. როცა ოჯახობა ჩამოგვივიდა, სახლში მიგვიწვია და გაგვიმასპინძლდა. თუკი სითბო გამოგვყვა, ამ ქალმა გამოგვაყოლა. აეროპორტში ტირილი და საჭირო საქართველოს დამოუკიდებლობა [illegible] ბელი და თენგიზი, მაგრამ ვერ აეუხსენით, [illegible] რომ ჩვენ ქართველები ვართ - და არა რუსები.

ფოტო გადმობეჭდილია შვეიცის გაზეთ „ლფკ ექსპრესიენიდან“. ქართველი ფეხბურთელები თ. სულაქველიძე და რ. შენგელია კლუბ „ჰოლსმუნდის“ მეკარესთან.

● გატყობთ გაგანერვიულეთ, იქნებ რაიმე სასიამოვნო მოიგონოთ უცხოეთში ცხოვრების შესახებ.

თ. სულაქველიძე: (იცინის): ერთი გულშემატკივარი ქალი გვყავდა, ასაკოვანი. ყოველ თამაშზე დაგვყვებოდა სტოკპოლმში. ბილეთი ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ მაინც დადიოდა. ჩვენც მზია შევავარქვით, მზია მეგაღიშვილის პატივსაცემად. როცა ოჯახობა ჩამოგვივიდა, სახლში მიგვიწვია და გაგვიმასპინძლდა. თუკი სითბო გამოგვყვა, ამ ქალმა გამოგვაყოლა. აეროპორტში ტირილი და საჭირო საქართველოს დამოუკიდებლობა [illegible] ბელი და თენგიზი, მაგრამ ვერ აეუხსენით, [illegible] რომ ჩვენ ქართველები ვართ - და არა რუსები.

— **თ. სულაქველიძე:** სიხარულით მივიღეთ ცნობა იმის შესახებ, რომ შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ვულოცავთ ქალბატონ ნონას მის პირველ პრეზიდენტობას. ღმერთმა ქნას, გვეღიროსოს და საქართველოს წარმომადგენლები დამოუკიდებლად ვიხილოთ შემდგომ ოლიმპიადებზე. საქართველოს შესწევს ამის უნარი.

● და ბოლოს, ტრადიციული კითხვა: რას აპირებთ მომავალში?

— ორ ხმაში გითხრათ? (იცინიან). ორივემ ბავშვობა გუნდის მწვრთნელობა გადავწყვიტეთ. უცხოეთში გამოცდილებაც მეტი შევიძინეთ, „ჰოლსმუნდის“ ბავშვთა გუნდს ვავარჯიშებდით. ერთი უნდა ვიცოდეთ მხოლოდ, ყოველ კაპიკი უნდა იყოს აღრიცხული. საქართველოს არ აქვს იმის საშუალება უაზროდ ფანტოს ფული. მაგრამ აუცილებელია ქალაქში იყოს ერთი ნორმალური ბაზა მაინც ბავშვების სავარჯიშოდ. მწვრთნელებსაც უნდა მოემატოს ხელფასი, რათა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებმაც გაბედონ და იმუშაონ ბავშვთა ფეხბურთში. მიხეილ მესხი მართლაც ფანატიკოსია. დილიდან საღამომდე ბავშვებს დასდევს კუდში და 200 მანეთს ხელფასს იღებს. ჩვენც უფეხბურთოდ ცხოვრება არ შეგვიძლია. მაგრამ ხელის შეწყობაც აუცილებელია. მოგვეცით იმდენი მინდვრები, რამდენიც შვეიცარიაში ვნახეთ ბავშვთა ფეხბურთის სკოლებში და რამდენიმე წელიწადში ფეხბურთი კვლავ აღორძინდება საქართველოში.

კიდევ ერთი, იქ ბავშვები არც ფორმაზე წუხდებიან, არც ბურთზე და არც ბუცებზე. ჩვენთან კი ეს ლამის „დინამოს“ პრობლემადაც იქცეს.

მოკლედ, აქ ვართ და ვამბობთ: ვეწესახურებით ქართული ფეხბურთის მომავალს!“

ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი

ფედერაცია და კავშირი: მოვალეობანი და უფლებამოსილებანი

სსრ კავშირის სპორტსახკომის კოლეგიამ განიხილა ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის მართვის სრულყოფის ღონისძიებათა საკითხი. დადგენილების პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის, პროფკავშირთა სპორტული ორგანიზაციებისა და უწყებების წარმომადგენლებმა. დადგენილების პროექტი უფრო ადრე განიხილეს რესპუბლიკების სპორტკომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების უფროსების თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ არმიის, „დინამოსა“ და პროფკავშირთა წარმომადგენლები. მოიწონეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საკავშირო შეჯიბრებათა ჩატარებაში. კოლეგიამ აღიარა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის, როგორც საკავშირო საზოგადოებრივი სახელმწიფო თვითმმართველი ორგანიზაციის სტატუსი, რომელიც ქვეყანაში ფეხბურთის ხელმძღვანელობას ახორციელებს სპორტსახკომთან ერთად. აღიარებულია, რომ ფედერაციის იურისდიქცია და უფლებამოსილება ვრცელდება მთელი კავშირის ტერიტორიაზე, როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (ფიფა) და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მიერ ერთადერთი აღიარებული ორგანიზაციისა.

კოლეგიამ ცნობად მიიღო ჩვენი გუნდების სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის ინფორმაცია და სპორტსმენების მიერ კლუბებთან და გუნდებთან დადებული სასწრაფო შრომითი ხელშეკრულებანი. ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს აცნობა სსრ კავშირში არასამოყვარულო ფეხბურთის სტატუსის ოფიციალურად შემოღების შესახებ. ფიფა-ს ტერმინოლოგიით ფეხბურთელები იყოფიან მოყვარულებად და პროფესიონალ-არამოყვარულებად. პროფესიონალ-არამოყვარულებს განეკუთვნებიან ის მოთამაშეები, რომლებიც რეგულარულად იღებენ ხელფასს, პრემიებს და ყოველგვარი სხვა ფორმის გასამრჯელოს.

კოლეგიამ წინადადება მისცა საკავშირო ფედერაციას იხელმძღვანელოს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით, რათა თანდათან მიაღწიოს სრულ თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებას. ფედერაციას უფლება მიეცა დადგენილი წესით დამოუკიდებლად აწარმოოს თავისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, ამასთან იგი გახდება იურიდიული პირი და ექნება თავისი ანგარიში როგორც საბჭოთა მანეთებში, ასევე საზღვარგარეთულ ვალუტაში. ფედერაციას უფლება მიეცა თავის საქმიანობაში აუნაზღაურებლად გამოიყენოს სსრ კავშირის სპორტსახკომის სხვა სამსახურებისა და სტრუქტურული ქვეგანყოფილებების დახმარება.

კოლეგიამ მოიწონა, აგრეთვე, ფედერაციის სტრუქტურაში სპეციალური ორგანოს საფეხბურთო ლიგების კავშირის შექმნა, რომლის ამოცანებშიც შედის საკავშირო შეჯიბრებათა ორგანიზაცია ოსტატთა საშტატო გუნდებისთვის უმაღლეს და პირველ ლიგებში, ამასთანავე ამ გუნდებისთვის . სპორტსახკომის მიერ დამტკიცებული სტატუსის დაცვა. აღინიშნა, რომ საფეხბურთო ლიგების კავშირი არის იურიდიული პირი და მოქმედებს თავისი წესდების საფუძველზე, რომელსაც რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს სსრ კავშირის სპორტსახკომში. კავშირის სამართლებრივი სტატუსი განპირობებულია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდებით, რომლის ერთ-ერთ პუნქტშიც ნათქვამია, რომ ლიგა არის ქვეყანაში შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად ექვემდებარება ეროვნულ ფედერაციას.

გთავაზობთ სსრ კავშირის სპორტსახკომის კოლეგიის წევრის, ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსის ვიაჩესლავ კოლოსკოვის განმარტებებს მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე:

— კოლეგების მიერ მიღებული დადგენილებები საშუალებას იძლევა ფეხბურთის განვითარებასთან და მართვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი დაუქვემდებაროს ერთ საზოგადოებრივ-სახელმწიფო ორგანოს — სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას. ფედერაციის საკანონმდებლო ორგანო იქნება საკავშირო კონფერენცია ან კონგრესი, ხოლო აღმასრულებელი — კონფერენციის მიერ არჩეული აღმასკომი. აღმასკომის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც შეასრულებს ტექნიკურ ფუნქციებს, იქნება სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო. ამასთან, გათვალისწინებულია, რომ საკავშირო კონფერენცია ან კონგრესი აირჩევს მთავარ მწვრთნელს, პასუხისმგებელ მდივანს და ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს.

საკავშირო ფედერაციის ამგვარი წყობა სრულად ესადაგება ისეთი ორგანიზაციების სტრუქტურას, როგორიცაა ფიფა და უეფა.

წინასწარ ვვარაუდობთ, რომ თავდაპირველად ფედერაციის დაფინანსება მოზდება შერეული პრინციპით, საბიუჯეტო და საკუთარი სამეურნეო საქმიანობით, რომელსაც განეკუთვნება ბილეთების გაყიდვით, რეკლამით, სპონსორობითა და მარკეტინგით შემოსული თანხები. საქმაო თანხის დაგროვების შემდეგ ფედერაცია გადავა სრულ თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე.

დიდი კამათი გამოიწვია საფეხბურთო ლიგების კავშირის სტატუსის საკითხის განხილვამ. კავშირის თავმჯდომარე ვ. პონედელნიკი კოლეგიას არ ესწრებოდა, ხოლო კავშირის წესდებისა და საქმიანობის თაობაზე განმარტებებს იძლეოდა ადმინისტრაციული საბჭოს მდივანი ვ. პეტროვი. მისი განმარტებები ფრიად ბუნდოვანი იყო და ამიტომაც, იძულებული ვიყავით მიგვეგმართა კავშირის აღმასკომისა და ადმინისტრაციული საბჭოს წევრ ვ. ლობანოვსკისთვის. მან თქვა, რომ ადმინისტრაციული საბჭოს აზრით, საფეხბურთო ლიგათა კავშირი უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია შეჯიბრებების ჩატარება ყველა ლიგაში. კავშირი არ უნდა ექვემდებარებოდეს არც ერთ სხვა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ორგანიზაციას და მუშაობდეს სამეურნეო ანგარიშის პრინციპით. აპარატის მუშაკთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს 22-25 თანამშრომლით.

მაგრამ, კავშირის სტატუსის საკითხის განხილვისას ნათელი გახდა ამ ორგანიზაციის პრეტენზიების არასრულყოფილება, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, ეს ეწინააღმდეგება ფიფა-ს და უეფა-ს წესდებებს და მეორეც — არ ითვალისწინებს ტერიტორიული, უწყებრივი და პროფკავშირული სპორტული ორგანიზაციების ინტერესებს.

კოლეგიის მონაწილეებმა პრეტენზიები წაუყენეს საფეხბურთო ლიგების კავშირს და სურვილი გამოთქვეს, რომ უკეთესი იქნებოდა კონფორნტაციიდან ერთობლივ საქმიანობაზე გადასვლა, რასაც სსრ კავშირის სპორტსახკომის კოლეგიამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

P.S. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა ორგანომ „ფიფა ნიუსმა“ გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა ფეხბურთელების სტატუსის შეცვლის თაობაზე. ცნობაში აღნიშნულია, რომ ამიერიდან სამივე ლიგის საბჭოთა ფეხბურთელები გადაივიდნენ ნახევრადპროფესიონალთა კატეგორიაში, რის შედეგადაც საერთაშორისო ტრანსფერის მოქმედი წესები და პირობები ვრცელდება ამ ლიგების მოთამაშეებზე. „ფიფა ნიუსის“ ცნობით, მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო პოლონეთის ფედერაციამაც, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ნახევრადპროფესიონალებად ითვლებიან მხოლოდ პირველი და მეორე დივიზიონის ფეხბურთელები. მესამე დივიზიონი კვლავ მოყვარულთა სტატუსს ინარჩუნებს. აქვე აღინიშნა, რომ სსრ კავშირამდე და პოლონეთამდე ფეხბურთელების ახალი სტატუსის თაობაზე ფიფა-ს თავიანთი გადაწყვეტილებები შეატყობინეს უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციებმა.

მოხშირდა ქურდობა

ფეხბურთში, მართლაც რომ მოხშირდა ქურდობა და ყაჩაღობა. ყველას კარგად გვახსოვს ლონდონში როგორ მოიპარეს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ოქროს ქალლმერთის ქანდაკება, შემდეგ კი როცა ეს უძვირფასესი პრიზი. გამარჯვების ქალლმერთი ნიკეს ანტიკური გამოსახულება, ბრაზილიელებმა მესამედ დაისაკუთრეს, იგი სამუდამო მფლობელობაში გადაეცათ გამარჯვებულს. და აქაც, თვით ამ უაღრესად საფეხბურთო ქვეყანაში, ბანდიტებმა თასი მოიპარეს და უნიკალური ოქრომჭედლობის ეს იშვიათი ქმნილება უბრალო ოქროს ზოდად აქციეს.

სულ ახლახანს იტალიელ იუველირს მანქანიდან ცივად ააცალეს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი ვერცხლის ბურთი... და, აი, ახლა კიდევ ერთი ახალი ცნობა საფეხბურთო ყაჩაღობის შესახებ: როგორც რომიდან იტყობინებიან, გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას მიერ მოპოვებული 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის „ოქროს ბურთი“ გაიტაცეს ნეაპოლის ერთ-ერთ ბანკის გაძარცვის დროს.

იტალიის პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაძარცვა მოხდა 26 ოქტომბერს, ხოლო ძვირფასი პრიზის დაკარგის ამბავი შეიტყვეს მეორე დღეს, როცა სახელგანთქმული ფეხბურთელის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პოლიციას გადასცა მის საბანკო სეიფში არსებული ნივთების სია.

იმ ხუთშაბათს რვა შეიარაღებულმა პირმა იარაღის მუქარით ბანკის მოხელეებს წაართვა სეიფების გასაღებები, გაძარცვა 86 სეიფი და მიიმალა.

ნაძარცვის ზუსტი ღირებულების დადგენა პოლიციას ამჟამად არ შეუძლია. დანაკარგის მასშტაბზე შეიძლება იმით ვიმსჯელოთ, რომ მარადონას სეიფში დაცული ზოგიერთი ჯილდო სულ ცოტა 742 ათას დოლარად არის შეფასებული.

ТВІЗ ВОНАВАРІ

ერთი დღით ადრე მოხნული...

(დასასრული)

ოდნავ ჩამორჩა. პირად ახპარეზობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ჩვენი რეხპუბლიკის წარმომადგენელმა სერგეი გორინმა.

ბრიანსკში მოტომრავალჭიდელთა ჩემპიონატის პარალელურად გაიმართა კლუბებს შორის პირველობაც. აქ უძლიერესი იყო თბილისის ახკ.

თბილისელი ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ აფციაური ხეულის სფარიკაო ბატალიების შემდეგ ახპარეზობაში აღარ გამოხულა. და აი, მან ოქტომბერში ძალა სცადა ტაშკენტში ჩატარებულ საკავშირო თახის გათამაშებაში, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი ჩემპიონტი გამოდიოდა. აქ აფციაურმა მეხამე ადგილი დაიკავა.

ფინეთის XII ტრადიციულ საერთაშორისო ახპარეზობაში რომელიც ტამპერეში გაიმართა, თბილისელმა მოკრივე ალბერტ კაზანჯიანმა მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს მოკრივეები გამოდიოდნენ სარატოვის რინგზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაშიც, რომელიც ნ. ნიკიფოროვ-დენისოვის სახელობის პრიზზე ჩატარდა. ახპარეზობაში 17-18 წლის მოკრივეები იბრძოდნენ. ჩვენი სპორტსმენებიდან ყველას აჯობეს თბილისელმა კახა ბარავიმ და მესტიელმა სპარტაკ ჯაფარიძემ.

თბილისელი ვახილი დავიდენკო და ქობულელი ხტელა პრიახინა ბოლო დროს ველოსრბოლელთა შეჯიბრებების ერთ-ერთ ფავორიტებად ითვლებიან და ისინიც იმედებს ამართლებენ. მათ წარმატებით იახპარეზეს მოსკოვში, „კრილატსკის“ ველოტრეკზე გამართულ საკავშირო ექვსდღიან ველოსრბოლაშიც. დავიდენკომ აქ ყველას აჯობა, ხოლო პრიახინამ მეხამე ადგილი დაიკავა.

თანამედროვე ხუთჭიდელთა ბერლინის საერთაშორისო ტურნირზე ხსრ კავშირის ნაკრები მთლიანად საქართველოს წარმომადგენლებით უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ თბილისელ რევაზ ლობიშვილს ვარჯიშის გრაფიკი ერღვეოდა, მის ნაცვლად გუნდში მოსკოველი ნ. სტაროსტინი შეიყვანეს. შეჯიბრებაში სწორედ სტაროსტინმა გაიმარჯვა, ხოლო ვახტანგ იაგორაშვილი მეორე იყო.

ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელებმა შესანიშნავად იახპარეზეს საკავშირო შეჯიბრებაში, რომელსაც „მილიონთა თახის“ გათამაშება ჰქვია. ჩვენმა ფეხბურთელებმა აქ ყველას აჯობეს და ზუგდიდი გახდა საქართველოს მესამე ქალაქი, რომელმაც ეს თახი დაიხაკუთრა.

ბერლინის საერთაშორისო ტურნირში „გდრ-40“-ში თბილისელმა მოჭადრაკე ზურაბ სტურუამ მეორე ადგილი გაიყო.

„ეჯერა ამ გოგოებს...“

(დასასრული)

ერთბაშად სამი ნორჩი ქართველი ამორძალი გამოჩნდა...

შეიძლება თავისებური პარალელიც კი გავავლოთ ქეთევან ლოსაბერიძისა და ამ სამი ნორჩი ჩემპიონის პირველ ნაბიჯებს შორის, ოღონდ მაინც დიდ სხვაობას დავინახავთ, რადგან ჩვენში მშვილდოსნობის ისტორია (ახლანდელ ოფიციალურ შეჯიბრებებს ვგულისხმობთ), ფაქტობრივად, ქეთევანის პირველი ნაბიჯიდან იწყება.

...ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზკულტურის გაკვეთილზე პირველკურსელებთან სპორტულ ფორმაში ჩაცმული კაცი შევიდა, თან ხელით ნაკეთი მშვილდი შემოიტანა. გოგონებს მკლავები გაუსინჯა, რამდენიმე მათგანი შეარჩია, სამიზნეს წინ დააყენა და ისროლეთო, უთხრა. ყველას გასაკვირად, ქეთევან ლოსაბერიძეს ათიანისთვის არ აუცილებია ისარი, თუმცა იმ დროს მან მშვილდოსნობის არსებობაც კი არ იცოდა...

— საქართველოში პირველად ქუთაისში ჩამოყალიბდა მშვილდოსნობის წრე, — იხსენებს ქალბატონი ქეთევანი, — ის ფორმიანი მამაკაცი მალვა ჯაშიაშვილი იყო, შემდგომში ჩემი უცვლელი მწვრთნელი. დავიწყეთ ვარჯიში, თუმცა პირობები თითქმის რა გვქონდა — არც სასროლეთი, არც ინვენტარი. მალვა მასწავლებელი ასკილის ხისაგან გვითლიდა მშვილდს, შემდეგ დიდი წვალებით ლარსაც მოგვიპოვებდა. ისრების კეთება კი ყველაზე რთული საქმე იყო, ისრის ფრთებს გაჭირვებით ვშოულობდით. ბატონ შალვასთან ერთად დავდიოდით ბაზარში და ინდაურის გამყიდველებს ვეხვეწებოდით ნება მოეცათ ინდაურებისთვის რამოდენიმე ფრთა შეგვეჭრა. ბოლოს მათ ისე მოვაბეზრეთ თავი, რომ ჩვენს დახახვაზე ფრინველებს ხან სად დამალავდნენ და ხან სად. ვარჯიშის სურვილი კი დიდი გვქონდა. თუმცა უკვე გითხარით, სად იყო ამისი ნორმალური პირობები...

და მაინც....

ქეთევანის შედეგები დღითიდღე იზრდებოდა. საბჭოთა კავშირში არც ერთ მშვილდოსან ქალს არ მიუღწევია ისეთი წარმატებებისათვის, როგორსაც მან მიაღწია.

— 1971 წელს 50-მეტრიან დისტანციაზე სროლაში საკავშირო რეკორდი დავამყარე და ქვეყნის ნაკრებში ჩამრიცხეს. არც ამ დროს მე და ჩემს თანაგუნდელებს ვარჯიშის მინიმალური დამაკმაყოფილებელი პირობები არ გვქონდა, სასროლეთის უქონლობას და იარაღის დეფიციტს განვიცდიდით. 1972 წელს, როცა მშვილდოსნობა ოლიმპიურ სახეობად აღიარეს, ცოტა გვეშველა, სპორტკომიტეტმა შედარებით კარგი იარაღები შეგვიძინა. იმავე წელს ლუქსემბურგში გამართულ ევროპის მშვილდოსანთა ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოვიპოვე. შემდეგ მიუხედნის ოლიმპიადისათვის დავიწყე მზადება. მიუნხენში შალვა მასწავლებელი არ წამყოლია. იქ ჩემს წარუმატებლად გამოსვლას, მართალი გითხრათ, ამასაც ვაბრალებ. მე ხომ მხოლოდ ქულით ჩამოვრჩი ემა გაპჩენკოს. ბატონი შალვა ახლაც მსაყვედურობს: ოქრო ხომ დაკარგე, ვერცხლიც დათმე და ბრინჯაოს რაღას ასაჩუქრებდიო. წარუმატებლობამ გამანაწყენა და როცა იმავე წელს იტალიაში გამართულ ამბროზიანოს პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში ჭალებსა და ვაყთა შორის პირველი ადგილი დავიკავე, ვიფიქრე, ესეც ჩემი გედის სიმღერაამეთქი. მაგრამ შალვა მასწავლებელმა შორს დაიჭირა, ოლიმპიური მედალი გვაკლიაო და მეც გადავიფიქრე. 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი გავხდი. ეს იყო ჩემი ბოლო დიდი გამარჯვება სპორტში...

რას ფიქრობს ოლიმპიური ჩემპიონი ჩვენს ახალგაზრდა მშვილდოსნებზე?

— დაიხსომეთ მათი სახელები: ნატო ნასარიძე, სულიკო თოფურია, ხათუნა ქერეიშვილი... მათ იქნებ მალე სხვებიც მიემატონ. ისინი ახლა გამოდიან დიდ სარბიელზე და თვითონ მათ ყველაფერი აქვთ საიმისოდ, რომ დიდი წარმატებებიც მოიმკონ. ამას თამამად ვამბობ თუნდაც იმიტომ, რომ სამივეს კარგად ვიცნობ: სულიკო თოფურია ჩემი შვილის ნათლიაა და მან ჩემი დაკინებული თხოვნით დაიწყო ვარჯიში, სამივე ხშირად მოდის ჩემთან რჩევისათვის და მე, როგორც შემიძლია, ვეხმარები...

როცა დიდი სპორტსმენი კარიერას ამთავრებს, ხშირად მწვრთნელი ხდება. ქეთევანმა მეცნიერება არჩია, უნივერსიტეტის სტუდენტებს უკითხავს ზოგადი მათემატიკის კურსს. მაგრამ სპორტის სიყვარული არ განელებია...

— სპორტიდან წასვლამდეც ხშირად მიფიქრია, მწვრთნელი გავმხდარიყავი თუ ჩემი სპეციალობით მემუშავა. უკანასკნელი ვარჩიე. რატომ? ისე მგონია, სპორტის არც ერთ სახეობას (ეს სპორტიდან სულ ერთია) [illegible] ბა [illegible] ელი [illegible] ორც მშვილდოსნობას. აქ მწვრთნელის გრძნობით, რაღაც მეექვსე გრძნობით უნდა იყო დაჯილდოებული, რომ ყველა შეგირდს მოარგო მშვილდი, ისე გაუწყო იარაღი, რომ იგი მისი სხეულის ნაწილი იყოს. შეიძლება დიდი სპორტსმენი იყო და თვითონ შენსავე იარაღს ვერ ირგებდე. მშვილდოსნობაში მართლაც კარგი მწვრთნელი საჭიროა, ჩემთვის ასეთი იყო შალვა ჯაშიაშვილი.

ამ გოგონებსაც საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელები ჰყავთ: ვლადიმერ ლეკვეიშვილი და ალექსანდრე მეყეკიძე, ორივეს საკმაოდ კარგად ვიცნობ და დიდი იმედიც მაქვს მათი...

ქეთევან ლოსაბერიძე, როგორც ითქვა, არასდროს ყოფილა განებივრებული კარგი ბაზითა და გამართული მშვილდ-ისარით. სამწუხაროდ, მდგომარეობა ახლაც თითქმის ისეთივე ყოფილა.

— ჩემის აზრით, თბილისში მშვილდოსნობის განვითარებისათვის არავითარი საშუალება არ არის. ცხადია, სპორტული ბაზა მაქვს მხედველობაში, როცა ვარჯიში დავიწყე, იქნებ მაშინ ერთისათვის არ ღირდა თავის შეწუხება, ახლა კი ამ სამეულის გარდა კიდევ ბევრი ვარჯიშობს. მარტო მწვრთნელების მონდომება და მოწაფეების ნიჭი ვერაფერს გახდება. დახურული ბაზაც არის საჭირო და ღიაც. ახლა სხვა დრო, სპორტსმენებს სხვა პირობები ჰირდებათ. ყველას ხომ ვერ დაიტევს „ლოკომოტივის“ დიდი ხნის წინათ დაძველებული და მოშლილი სასროლეთი. არადა, რამდენ ბავშვს აბრუნებენ უკან, უბრალოდ, მათთვის ადგილი არ ჰყოფნით.

ბაზების ნაკლებობას სხვებიც ჩივიან. მიკვიროს და ვფიქრობ: მშენებლები, როცა შენობას აგებენ, პირველ სართულს აუცილებლად უსახურ მაღაზიას უთმობენ. არ შეიძლება ერთი-ორი ასეთი მაღაზიის ნაცვლად სპორტული დარბაზი მოაწყონ?...

55-ე სკოლის წინ პირველკლასელები შეჯგუფებულან, ალბათ მშობლებს თუ ელიან. ერთი გოგონა შუაში ჩამდგარა და მეგობრებში იკვეხნის: იცით, დედაჩემი ჩემპიონია, სახლში იმდენი ოქროს მედლები გვაქვს, გაგიქდებით. აი, მოდით და სუყველას გიჩვენებთო. ეს თინიკო გვენეტაძეა, ქეთევან ლოსაბერიძის ქალიშვილი. გავა [illegible] და ვინ იცის, იქნებ სხვა ბეგრიც გამოჩნდეს ასეთი „მკვეხარა“.

მანანა სოხელია.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 11 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

რატომ უნდა გვახსოვდეს ეს სეზონი?

კანადის გაზეთი „ვინიპეგ ფრი პრესი“ თავის მკითხველებს ასეთ შეკითხვას უსვამს: რით შეიძლება დაგვამახსოვრდეს ჰოკეის ეროვნული ლიგის 73-ე ჩემპიონატი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს? პასუხს ამ კითხვაზე გაზეთი თვითონვე სცემს: პირველ ყოვლისა, იმით, რომ უეინ გრეცკიმ გაუმჯობესა გორდი ჰოუს სნაიპერული რეკორდი, აგრეთვე იმით, რომ ნხლ-ს პროფესიულ ლიგაში სათამაშოდ მოვიდნენ საბჭოთა ჰოკეისტები.

გარდა ამისა, 13 აპრილს ნიუიორკის „რეინჯერსს“ უსრულდება საიუბილეო თარიღი, რომლითაც კლუბი, ცხადია, ვერ იტრაბახებს. 50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „რეინჯერსი“ სტენლის თასს — ნხლ-ს ლიგის ყველაზე პოპულარულ ჯილდოს ფლობდა.

ამავე დროს, გაზეთი აზუსტებს ამ ფაქტთან დაკავშირებით, ზოგიერთ საინტერესო დეტალს. 50 წლის წინ არ იყო დაბადებული ნხლ-ს 21 მწვრთნელთაგან ჩვიდმეტი, ხოლო თოთხმეტი მენეჯერი ბავშვი გახლდათ, „რეინჯერსის“ ამ ერთადერთი გამარჯვების შემდეგ სტენლის თასს ცხრამეტჯერ ფლობდა „მონრეალ კანადიენსი“, ათჯერ — „მეიპლიფსი“, ხუთჯერ — „რედ უინგზი“, ოთხჯერ — „აილენდერზი“ და „ოილერზი“, სამჯერ — „ბრიუინზი“, ორჯერ — „ფლეიერზი“ და თითოჯერ — „ბლეკ ჰოუკსი“, აგრეთვე ჯილდოს წლევანდელი მფლობელი „კალგარი ფლეიმზი“. აღსანიშნავია ისიც, რომ 1940 წელს არ არსებობდა არც „აილენდერზი“, არც „ოილერზი“ და არც „ფლაიერზი“.

და კიდევ, სეზონი დასამახსოვრებელი იქნება იმით, რომ მარტში ოტავაში გაიმართება მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონატი ჰოკეისტ ქალთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ფინეთის, ნორვეგიის, შვეიცარიის, შვეციის, გფრ-ის, აშშ-სა და კანადის გუნდები.

„სპორტლოტო“

5 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 45-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაბა), 16 (ცხენოსნობა), 17 (საციგურაო სპორტი), 19 (სათხილამურო რბოლები), 39 (ბადმინტონი),

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 21 (ცურვა), 25 (ციგაობა), 27 (მშვილდოსნობა).

• • •

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 44-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.433.461 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (43) მოგება 1.156 მანეთია, ოთხისთვის (2.027) — 31, სამისთვის (34.157) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 34.110 ვარიანტი. 6-0, 5_0, 4-60, 3-833.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 15.165.734 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (6) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (2.963) — 257, სამისთვის (132,037)-11.

• საქართველოში: დაშვებულია 416.366 ვარიანტი. 5-0, 4-94, 3_3.900.

44-ე და 35-44 ტირაჟებში მონაწილე 10_ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 18 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

45-ე ტირაჟის შედეგები
(4-5 ნოემბერი)

1—1, 2—2, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—2, 12—X, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ნაპრიზო ფონდი — 300 ათასი დოლარი

უორჩესტერი (აშშ). „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ჩოგბურთელ ქალთა აქ მიმდინარე ტურნირის საპრიზო ფონდი 300 ათას დოლარს შეადგენს. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ შეჯიბრებაში ფაქტიურად ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი გამოდის.

პირველ წრეში საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერი ნატალია ზვერევა დამარცხდა დასავლეთგერმანელ ევა პფაფთან 7:5, 2:6, 4:6 და ახპარეზობას გამოეთიშა.

სამაგიეროდ, ლიდერები წარმატებით მიიკვლევენ გზას გადამწყვეტი შეხვედრებისკენ. ასე, მეორე წრეში გაბრიელა საბატინი (არგენტინა) აჯობა „ვირჯინია სლიმზის“ მოსკოვის ტურნირში გაბრწყვებულ ამერიკელ გრეტჩენ შეჯერს 6:2, 6:1, პამ შრაივერმა (აშშ) კი არგენტინელ ფლორენსია ლაბატს 6:3, 6:0.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“
სტადიონი (ა. ფერეთლის გამზირი № 2)

11 ნოემბერი • შეხვედრა

საქალმოქმედო მატჩი

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)



დასაწყისი 15 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 და 11 ნოემბერს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 10 ნოემბერს.

მატჩის მთელი შემოსავალი გადაირიცხება სიჯანსაღისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე და მოხმარდება ქართულ სპორტსა და ერის გაჯანსაღების ინტერესებს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93_97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97_53,
„მერანი“ — 93-97_26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 531